



2023  
წელი

# შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

## მუხლი 1 წესის მიზანი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის აფილირების წესს, პირობებს, აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატუსს და უფლება-მოვალეობებს.

## მუხლი 2 აფილირების არსი

1. აფილირება მოიცავს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტსა და ამავე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) შორის გაფორმებულ სპეციალურ აკადემიურ შეთანხმებას, რომლის საფუძველზე აკადემიური თანამდებობის მქონე პირი საკუთარ აფილირებას განსაზღვრავს მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან და მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს სამეცნიერო, კვლევით ღონისძიებებსა და აქტივობებში.

2. აფილირების მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, ასევე უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის იმგვარი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რომელიც ერთი მხრივ წახალისებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობას ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას.

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატუსს, ვალდებულებებს და წახალისების მექანიზმებს განსაზღვრავს წინამდებარე წინამდებარე წესი, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტები და აფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული აფილირების შეთანხმება.

## მუხლი 3 აფილირებული პერსონალის სახეები და აფილირების წარმოშობა

1. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის სახეებია:

- ა. აფილირებული პროფესორი;
- ბ. აფილირებული ასოცირებული პროფესორი;
- გ. აფილირებული ასისტენტ პროფესორი;
- დ. აფილირებული ასისტენტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

3. აკადემიური პერსონალის აფილირება წარმოიშობა შესაბამის აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის აფილირების შეთანხმების გაფორმებისთანავე;

4. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შედეგები, აფილირების შეთანხმების გაფორმების მომენტიდან ჩათვლება მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს, აფილირების შეთანხმების მოქმედების მანძილზე;

5. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების გაფორმების შემთხვევაში უნივერსიტეტი წყვეტს აფილირებას აკადემიურ პერსონალთან;

6. უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის

სამეცნიერო კვლევით საქმიანობას.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია არსებულ აკადემიურ პერსონალს შესთავაზოს აფილირება. ასევე უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური კონკურსის ორგანიზებისას კონკურსი გამოაცხადოს აფილირების პირობით ან/და აფილირებაზე თანხმობა კონკურსის ფარგლებში მიიჩნიოს პრიორიტეტად. აკადემიური კონკურსის მიმდინარეობისას, თანაბარი მონაცემების კანდიდატების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია უპირატესობა მიანიჭოს კანდიდატს რომელიც აცხადებს თანხმობას აფილირებაზე.

#### მუხლი 4 აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია:

- ა. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მონაწილეობდეს და იყოს ჩართული უნივერსიტეტის მართვაში;
- ბ. განახორციელოს სწავლება, კვლევა, სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობა უნივერსიტეტში;
- დ. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ან/და არსებული პროგრამის მოდიფიცირებაში;
- ე. განსაზღვროს ცალკეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსის შინაარსი, გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები და აქტივობები;
- ვ. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კვლევით/საგრანტო კონკურსში;
- ზ. ფაკულტეტის საბჭოს მიმართოს ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოთხოვნით;
- თ. არჩეულ იქნას უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრად;
- ი. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით, აფილირების შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- ა. დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტები;
- ბ. დაიცვას აფილირების შეთანხმება;
- გ. დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;
- დ. შეასრულოს ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ე. განახორციელოს სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობა, რომლის შედეგები აფილირების მანძილზე ჩაეთვლება მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს;
- ვ. ცალკეულ სამეცნიერო/კვლევით აქტივობებში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელით;
- ზ. აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტების აკადემიური, სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესში;
- თ. აქტიურად იყოს ჩართული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით აქტივობებსა და ღონისძიებებში;
- ი. სისტემატიურად განახორციელოს დარგში შესაბამისი კვლევები (გამოაქვეყნოს სტატია, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, გამოსცეს სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები ნაშრომები, შექმნას პატენტი, გამოგონება, აქვე აღნიშნული საქმიანობა განახორციელოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელით)
- კ. უხელმძღვანელოს სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომებს, შეასრულოს რეცენზია;

ლ. უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კვლევით, საგრანტო პროექტებში;

მ. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტთა მომზადება კონფერენციებისთვის;

ნ. განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობები: მათ შორის შეადგინოს რეცენზია, იყოს ნაშრომის რედაქტორი, სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორი ან/და სარედაქციო კოლეგიის წევრი; ო. გახდეს სხვადასხვა ტიპის ავტორიტეტული სამეცნიერო აკადემიის ან/და გაერთიანების წევრი და წევრ-კორესპონდენტი;

პ. უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად წლის მანძილზე დააგროვოს შესაბამისი აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრული ქულების ოდენობა;

ჟ. უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ვადებში, წარუდგინოს ანგარიში რომელიც ადასტურებს მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული სამეცნიერო, კვლევით საქმიანობას.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას აფილირებული აკადემიური პერსონალი გამოდის შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელით და აღნიშნული მიღწევები ეთვლება მხოლოდ შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს.

4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ, ნასკირი ვალდებულებების დარღვევა შესაძლოა გახდეს უნივერსიტეტის მხრიდან აფილირების შეთანხმების შეწყვეტის საფუძველი.

## **მუხლი 5 უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები**

1. უნივერსიტეტი ვალდებულია

ა. იზრუნოს აფილირებული აკადემიური პერსონალის სისტემატიურ პროფესიულ განვითარებაზე; ბ. ხელი შეუწყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო, კვლევით საქმიანობას;

გ. უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის პრიორიტეტულობა სემესტრული, საათობრივი და ტვირტის განსაზღვრისას;

დ. შეუქმნას აფილირებულ აკადემიურ პერსონალს შესაბამისი სამუშაო პირობები, მათ შორის ჯანსაღი სამუშაო გარემო, შესაბამისი ტექნიკური საშუალებები და ელექტრონული სამეცნიერო ბაზები;

ე. საუკეთესო შეფასების მქონე აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ყოველწლიურად გადასცეს წამახალისებელი ჯილდო;

ვ. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ დააფინანსოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, ფორუმი და სხვ) აფილირებული აკადემიური პერსონალის მონაწილეობა;

ზ. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სხვადასხვა სტატიის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს ან/და ნაშრომის გამოცემა.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა. მოსთხოვოს აკადემიურ აფილირებულ პერსონალს ამ წესით, აფილირების შეთანხმებით,



უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

ბ. მოსთხოვოს აკადემიურ აფილირებულ პერსონალს ამ წესით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევითი აქტივობების განხორციელება;

გ. მოსთხოვოს აკადემიურ აფილირებულ პერსონალს ცალკეული სამეცნიერო კვლევითი აქტივობების განხორციელებისას უნივერსიტეტის სახელწოდების მითითება;

დ. შეუწყვიტოს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს აფილირების შეთანხმება შემდეგ შემთხვევებში:  
პერსონალი აფილირებას მიიღებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და პერსონალი ზედიზედ ორი წლის მანძილზე, სამეცნიერო კვლევითი აქტივობებით ვერ აგროვებს მისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ქულას. პერსონალი არღვევს აფილირების შეთანხმებით ან/და წინამდებარე წესით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

### მუხლი 6 აფილირებული აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა

1. ყოველ სემესტრული დატვირთვის განსაზღვრისას, აფილირებული აკადემიური პერსონალის ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია უნივერსიტეტისთვის;

2. აფილირებულ აკადემიურ პერსონალს არ ეკრძალება საქმიანობა განხორციელოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აქვე საშუალო დატვირთვა კვირის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ზღვრულ ოდენობას. თუ აფილირებულ აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დატვირთვას, აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია გაიზარდოს საათობრივი დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისი პროპორციის დაცვით.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეამოწმოს აკადემიური აფილირებულის პერსონალის დატვირთვა კანონით ნებადართული საშუალებებით;

4. უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური დატვირთვა განისაზღვრება შემდეგნაირად:

აკ.თანამდებობა	სემესტრში მაქსიმალური დატვირთვა
აფილირებული პროფესორი	კვირაში არაუმეტეს 20 სთ
აფილირებული ასოცირებული პროფესორი	კვირაში არაუმეტეს 22 სთ
აფილირებული ასისტენტ პროფესორი	კვირაში არაუმეტეს 24 სთ
აფილირებული ასისტენტი	კვირაში არაუმეტეს 26 სთ

5. ამ მუხლით გათვალისწინებული დატვირთვების დაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კონკრეტული აკადემიური პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც.

## მუხლი 7 აფილირების შეთანხმება

1. აფილირების შეთანხმება ფორმდება წერილობითი ფორმით და მას ორივე მხარე აწერს ხელს;
2. აფილირების შეთანხმება შესაძლოა გაფორმდეს ნებისმიერ დროს;
3. აფილირების შეთანხმების ფორმას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
4. აფილირების შეთანხმების გაფორმებისას აფილირებული აკადემიური პერსონალი ეცნობა და ხელმოწერით ადასტურებს წინამდებარე წესის გაცნობას;
5. წინამდებარე წესს დანართის სახით ერთვის აფილირების შეთანხმება.

## შეთანხმება აფილირების შესახებ

ქ.თბილისი

----- წელი

წინამდებარე შეთანხმების მხარეები არიან შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ორგანოს მიერ, რეგისტრაციის თარიღი 29/05/2008, საზოგადოების იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქუჩა N5; ს/კ 20455524 ), წარმოდგენილი მისი რექტორის გიორგი მათიაშვილის (პირადი #01024014457) და კანცლერის ელისო ელისაშვილის (პირადი N01025006529) სახით (შემდგომში ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „უნივერსიტეტი“) და 00000 (N600000000) (შემდგომში ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული, როგორც „აფილირებული პირი“).

**შეთანხმების მხარეები ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე აფორმებენ წინამდებარე შეთანხმებას და თანმდებთან ქვემოთ მოყვანილ პირობებზე:**

**მუხლი 1. შეთანხმების საგანი**

1. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელის მოწერით აფილირებული პირი აცხადებს თანხმობას იყოს აფილირებული შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან;
2. უნივერსიტეტის და აფილირებული პირის უფლება მოვალეობები, აფილირების საკითხები განისაზღვრება ამ შეთანხმებით და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობების შესაბამისად;
3. ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერით აფილირებული პირი ადასტურებს რომ ის გაეცნო შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს და პირობებს და სრულად აცნობიერებს აფილირების მნიშვნელობას ასევე აფილირების პირობების შესრულების ან/და ამ პირობების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებს.

**მუხლი 2. მხარეთა უფლება მოვალეობები**

1. აფილირებული პირი ვალდებულია:

- ა. თავისი აფილირება განსაზღვროს მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარების პროცესში;
- ბ. განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. ამასთან მისი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს;
- გ. აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და მათი აკადემიური-სამეცნიერო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესში;
- დ. ყოველწლიურად, უნივერსიტეტის სახელით განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა, არანაკლებ შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით აფილირებული პერსონალისთვის განსაზღვრული ოდენობით;
- ე. წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტს წარუდგინოს დადგენილი ფორმით შესრულებული ანგარიში (თვითსეფასება) და თანდართული დოკუმენტები განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ;
- ვ. აფილირების შეთანხმების შეწყვეტისას, მის შეწყვეტამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, წერილობით აცნობოს ამის შესახებ უნივერსიტეტს.
- ზ. შეასრულოს სხვა ვალდებულებები რომლებიც თუმცადა წინამდებარე აფილირების შეთანხმებაში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ დადგენილია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

2. აფილირებული პირი უფლებამოსილია:

- ა. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, იყოს ჩართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში;
- ბ. ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

გ. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ავილირების წესი და პირობების შესაბამისად, ისარგებლოს სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების უფლებით;

დ. განახორციელოს სხვა უფლებამოსილება რომელიც თუმცადა წინამდებარე ავილირების შეთანხმებაში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ დადგენილია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

3. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა. იზრუნოს ავილირებული პირის მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე;

ბ. ხელი შეუწყოს ავილირებული პირის მონაწილეობას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, მის მიერ საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელებას;

გ. ხელი შეუწყოს ავილირებული პირის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას;

დ. შეასრულოს სხვა ვალდებულებები რომლებიც თუმცადა წინამდებარე ავილირების შეთანხმებაში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ დადგენილია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა. მოსთხოვოს ავილირებულ პირს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

ბ. მოსთხოვოს ავილირებულ პირს ძირითადი საგანმანათლებლო, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება, არანაკლებ უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ოდენობით, ხოლო მისი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს;

გ. თითოეული სემესტრის დასაწყისში მოსთხოვოს ავილირებულ პირს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა;

დ. ავილირებული პირის მიერ წინამდებარე შეთანხმების ან შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამართლებრივი ზომები, მათ შორის გამოიყენოს დისციპლინური სახდელი;

ე. ავილირებული პირის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავილირების შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში შეუწყვიტოს ავილირებულ პირს ავილირება და მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება.

ვ. შეასრულოს სხვა მოქმედებები რომელიც თუმცადა წინამდებარე შეთანხმებით სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ დადგენილია უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

5. ავილირებული პირი ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერით ადასტურებს რომ ის გაეცნო უნივერსიტეტში მოქმედ „აკადემიური პერსონალის ავილირების წესსა და პირობებს“.

### **მუხლი 3. შეთანხმების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა**

1. ამ შეთანხმების მოქმედების ვადა განისაზღვრება ავილირებული პირის თანამდებობაზე ყოფნის ვადით;

2. შეთანხმება ასევე შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კოდექსით, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ავილირებული პირის მიერ აკადემიური პერსონალის ავილირების წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

### **მუხლი 4. დამატებითი და დასკვნითი დებულებები**

1. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დავა გადაწყვიტონ სასამართლოს მეშვეობით;

2. მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ რომ წინამდებარე შეთანხმება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და ისინი სრულად გაეცნენ მის შინაარსს;

3. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელის მოწერით ავილირებული პირი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ უნივერსიტეტთან შრომით სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ დამუშავებულ იქნას მისი პერსონალური ინფორმაცია, სხვადასხვა კანონიერი აუცილებლობიდან გამომდინარე.

4. მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ რომ ისინი გაეცნენ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ავილირების წესს და პირობებს;

5. საკითხები რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე შეთანხმებით რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

6. წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის ხელმოწერით;



7. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, თითოეული გადაეცემა მხარეს.

**მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა**

უნივერსიტეტი	აფილირებული პირი
შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	სახელი/გვარი
ს/კ 204555524	პ/ნ
იურ. მისამართი: სამღერეთის ქუჩა N5	ფაქტ. მისამართი:
ა.ა.	ა.ა.
კანცლერი:	ხელმოწერა:
ე. ელისაშვილი	
რექტორი:	
გ. მათიაშვილი	